ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი
7103

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

პარასკევი, 29 აგვისტო, 1941 წ. საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველკვირეული ორგანო № 35 (194) ფასი 30 კაპ.

დავეუფლოთ სამხედრო საქმეს

„ფაშისტურ გერმანიასთან ომი ჩვეულებრივ ომად არ შეიძლება ჩაითვალოს, — სთქვა დიდმა ბელადმა ამხანაგმა **სტალინმა** სამ ივლისს წარმოთქმულ სიტყვაში.—იგი არა მარტო ორი არმიის ომია. იგი ამასთან ერთად არის მთელი საბჭოთა ხალხის დიდი ომი გერმანელ ფაშისტთა ჯარების წინააღმდეგ".

სამამულო ომის პირველმა დღეებმა ცხადჰყვეს ბელადის ამ სიტყვების სრული ჭეშმარიტება. ჩვენს მიწა-წყალზე მტრის ჯარის შემოჭრისთანავე ფაშისტური ურდოების წინააღმდეგ ბრძოლამ სახალხო ომის ხასიათი მიიღო. მტრის მიერ დაპყრობილ რაიონებში გაჩაღდა პარტიზანული მოძრაობა, ამოქმედდნენ პარტიზანული რაზმები, რომლებმაც, დაანთეს რა გამანადგურებელი ცეცხლი მტრის ზურგში, რისხვად დაატყდნენ თავს ფაშისტ მტარვალებს. იმ ორ მილიონზე მეტი ფაშისტის მოსპობასა და ფაშისტთა იმ უამრავი საჭურველის განადგურებაში, რის შესახებაც საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ორი თვის ომის შემაჯამებელი ცნობა იუწყებოდა, თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი, უეჭველია, შეტანილი აქვთ ჩვენ სახელოვან პარტიზანებს, ჩვენ სახალხო მოლაშქრეებს. რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო იზრდება და ძლიერდება პარტიზანთა და მოლაშქრეთა ძალა.

ყველგან ქალაქად და სოფლად მოეწყო და ეწყობა თავდაცვა-ავიაქიმის რაზმები, რაშიაც მონაწილეობენ მოქალაქენი, რომლებიც თავდაცვისათვის საჭირო შრომას ეწევიან, მაგრამ რომლებიც ყოველ წუთში მზად არიან ხელში აიღონ შაშხანა, ხელყუმბარა, ტყვიამფრქვევი.

არმიაში ჯერ კიდევ გაუწვეველ მშრომელთაგან მეომარი კადრების მოსამზადებლად ამჟამად ენერგიული მუშაობაა ჩვენს ქალაქებში. ყოველ დღე სამუშაო დღის დასრულებისას ქალაქთა მოედნებსა და ქუჩებზე შაშხანისა და ტყვიამფრქვევის სროლას, ხელყუმბარის ტყორცნას, საჰაერო და ქიმიური თავდაცვის წესებს სწავლობენ, ბრძოლის ხერხებს ეუფლებიან და მომქმედი არმიის გამოცდილებას ეცნობიან მუშები, ინჟინერ-ტექნიკოსები, მოსამსახურეები, მეცნიერები. სამხედრო წვრთნაში ჩაბმულია ქართველი საბჭოთა მწერლების მთელი აქტივი, თითქმის ყველა მწერალი, რომელსაც კი ხელში იარაღის აღების უნარი შესწევს.

როგორც ყოველთვის, ისე ახლაც, ამ საქმეში მწერლობა განუყრელი რჩება საბჭოთა ხალხისგან. საბჭოთა ინტელიგენციის მოწინავე რაზმი — მწერლობა მოწოდებულია თავისი თავის სამხედრო გაწვრთნით, სამხედრო მომზადებით მაგალითი უჩვენოს თავდაცვა-ავიაქიმის რაზმებში ჩაბმულ ყოველ მოქალაქეს. მწერლები მოწოდებული არიან დაეხმარონ პარტიულ ხელმძღვანელებს — შეიტანონ მკაცრი ორგანიზაცია მთელი მოსახლეობის სამხედრო წვრთნაში. საჭიროა მწერალმა ჯერ თავის თავში და შემდეგ სხვებში აღმოფხვრას „ძველებური შეხედულება ამ საქმეზე, როგორც რაღაც სამხედრო საქმის მოყვარულობაზე. სამხედრო წვრთნა სამხედრო დისციპლინის შეთვისებით იწყება. ამ საქმეში შეუწყნარებელია, დამღუპველია უდარდელობა. საბჭოთა პატრიოტი მეომარია, მეომრისთვის კი სავალდებულოა მკაცრი წესრიგი, სავალდებულოა ბრძანებათა შესრულება" („პრავდა"). ეს მითითება მტკიცედ უნდა ახსოვდეს ყოველ ჩვენგანს.

რაზმში გაწვეული ყოველი მწერალი თავისი პირადი მაგალითით ხელს უნდა უწყობდეს მკაცრი წესრიგის დამყარებას, მკაცრი სამხედრო დისციპლინის დანერგვას თავის სამხედრო ერთეულში. ყოველი ჩვენგანი მოკლე ხანში უნდა გახდეს ყოველმხრივად გაწვრთნილი, დისციპლინირებული მეომარი.

ბევრი ჩვენი თანამოკალმე — რუსი, უკრაინელი, ბელორუსი მწერალი ომის პირველ დღეებიდანვე გავიდა ბრძოლის ველზე და იარაღით ხელში იცავს ჩვენს დედა სამშობლოს. ქართველი მწერლების დიდი ნაწილი კი ჯერჯერობით მხოლოდ კალმით ემსახურება დიად სამამულო ომს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ბევრ ჩვენგანსაც მოუხდეს ფრონტზე გასვლა. თავგამოდებით და სრული გულმოდგინებით ვემზადოთ ამ მომენტისათვის, ვემზადოთ იმისათვის, რომ კალამი შაშხანით შევცვალოთ, ვემზადოთ იმ დაპირების განაღდებისათვის, რომელიც ჩვენს ნაწარმოებში არა ერთხელ მიგვიცია საბჭოთა მკითხველისათვის.

დეე ,ბარბაროსი მტრის იმ განადგურებაში, რომელიც მას ჩვენი მამაცი წითელი არმიისა და სახალხო ლაშქრისაგან მოელის, ქართველი საბჭოთა მწერლის მიერ ნასროლილი ტყვია-ყუმბარაც მონაწილეობდეს.

შურისძიება

დემნა შენგელაია

დალამდა.

ყველგან, — ჩარდახებში, ალაყაფებთან, ტელეფონებთან თავდაცვის გუშაგები დგანან.

ბნელში დანთქმული მრავალსართულიანი სახლები, უბნები ყუჩდებიან.

მკრთალ-იისფრად განათებულ ქუჩებში დუმილია. აღარ ბრწყინავენ ზარდლის ლარივით გაჭიმული ტრამვაის საჰაერო გაბმულობანი. აღარ ელავენ ცისფერი სატროლეიბუსო მავთულთა პირაპირებზე აკვესილი შტანგების გორგოლაჭები.

თითქოს ყველას სძინავს, მაგრამ ნამდვილად ქალაქში ამდენი მღვიძარე არასოდეს არა ყოფილა. თითქოს ბავშვებმაც იგრძნეს საფრთხის მოახლოვება და ბინებიდან აღარ ისმის მათი ხალისიანი ჟრიამული: ყველგან სიმშვიდეა, ყველას დინჯად, დაკვირვებულად უჭირავს თავი.

შენიღბული ქარხნები უფრო მეტის წარმატებით მუშაობენ. აქა-იქ ყრუდ მოისმის მანქანების ხშუილი და გუგუნი. ღამეში ფრთხილად, გაპარული ნაკადულებივით ტლაშუნობენ ტრანსმისიები.

საზენიტო არტილერია, აეროდრომი, საპროჟექტორო სადგურები გაფრებულან, ბგერათმტაცებელნი გაფაციცებით უსმენენ დუმილს, — არსად ცაში ბაიბური არ ისმის.

აი შემოქროლებული ავტომანქანის უკანასკნელი შმაშურიც მისწყდა. აი კაბინის კარის რახუნიც გაისმა, და ისევ დუმილი, ისევ სიბნელე.

ორმოცდახუთი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ვადა ფარჯიკიას შევარდნები ჰაერში ფაშისტთა სვავებს პირველად შეეტაკნენ. ორმოცდახუთი დღე გავიდა მას შემდეგ, რაც ის მოსკოვს იცავს. აეროდრომს გახედა,— მიწა არა სჩანდა. ცისფრად განათებული ფანტასტური ფრინველები ღამეში თითქოს უჩუმრად მიფრინავდნენ.

ამ უკუნეთმა მას მშობლიური კოლხეთის მრუმე ღამე მოაგონა, ღამე, როცა მთელი დღის გარჯილობით დაღლილი ოჯახი თავს ტკბილად ატკაცუნებული კერის ირგვლივ მოიყრიდა. ნაყოფიერი ჯაფით კმაყოფილი მამა იმ წყეულ დროს მოიგონებდა. ამბობდა, თუ რამდენი გაჭირვება უნახავს, რა უსინათლო ახალგაზრდობა უტარებია, ადამიანის რაოდენ დამამცირებელი შრომა უწევია და რა შავბნელი, რა უიმედო იყო მაშინდელი სოფლის დუხჭირი ცხოვრება.

ვადა ყურს უგდებდა მამის მწუხარე თავგადასავალს და მისი ოცნება მით უფრო ტკბილი იყო და მიმზიდველი. ყურს უგდებდა და თან იმის ოცნებაში იყო, რომ აი, აცაა, წითელ არმიაში წავა, თვითმფრინავზე დაჯდება და მიწის მაგიერ ცას დაუწყებს ხვნასა და თესვას. ერთხელ, როცა ის თავისი ტრაქტორით ამ ღამესავით შავსა და ახლად ათვისებულ ნოყოს აბრუნებდა, გუთანი მიწაში ჩაზამთრებულ გველების სოროს მოედო. დაზლაკნილი ქვეწარმავალნი მიწის პირზე თოკის ნაკუწთა შულოსავით ამოხვავდნენ. ახლა მათ ფრთა აუსხამთ, ცად აფრენილან და ამ ბედნიერი დღის დაბნელებას ლამობენ. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ უნავარდნია ფარჯიკიას მათ მუსრვაში ცისიერიდან ცისიერამდე. ვინ იცის, რამდენი გველისთავიანი სვავისათვის დაულეწია ფრთები და მიწაზე ცეცხლმოდებული დაუნარცხებია.

ბნელს გახედა, — ქალაქი არა სჩანდა.

ქუფრი ღამე ერთბაშად საგანგაშო ყივილმა გაარღვია. მას მეორე მოჰყვა. მეორეს — მესამე და ერთბაშად ეს უნაპირო სივრცეები შემზარავმა გნიასმა მოიცვა.

ფარჯიკიას პირველად როდი ესმოდა ეს ამაზრზენი ვაება საყვირებისა, მაგრამ გული მაინც შეეკუმშა. სადღაც სირინოზი გამგმირავად, ნაწყვეტ-ნაწყვეტად აზუზუნდა. მას ორთქლმავლები და ქარხნები მიჰყვნენ წივილით. აი შორეულ ცისკიდურში პროჟექტორთაგან ატყორცნილი შუქთა ნათელის ზღუდეც აიმართა. ცად აწვდილი სხივები უცნაურ მანათობელთა ხელებივით გაფაციცებულად ფათურობდნენ მიმობნეულ ღრუბლებში.

მფრინავები განგაშზე გარეთ გამოცვივდნენ.

ფარჯიკიას ბრაზის გამო არც ახსოვდა, როდის მოთავსდა თავის კაბინაში, ფრენის დროს რომ არ ამოვარდნილიყო, როგორ ჩაება შიგ ღვედებით, ან როდის შესწყდა ეს ყიჟინა. ირგვლივ ისევ მყუდროება, ისევ ის განუსაზღვრელი სიმშვიდე. ყური მიუგდო, — ყრუდ მოისმოდა პროპელერების გუგუნი. რამდენიმე სვავი მაინც გასხლტომია სინათლის ზღუდეს და ქალაქის მიდამოებში შემოჭრილა.

— მტერი გამოჩნდა!—მოესმა მახლობელ მანქანიდან ამხანაგის ხმა.

ფარჯიკიამ პასუხის გაცემაც ვერ მოასწრო, რომ ცაში ქალაქის თვალმადევნი პროჟექტორების შუქთა ლეროები თავთავებივით აყელყელავდნენ. მათ ბრწყინვალებას საზენიტო ქვემეხთა გრიალი მოჰყვა, სულჩაუთქმელად აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები.

მას აქეთ, რაც მტერმა პირველ თავდასხმებისას მრავალი თვითმფრინავი დაჰკარგა, იგი სათოფედ აღარ ეკარება საბჭოთა პროჟექტორების მომაკვდინებელ სხივებს. ცდილობს ისეთ სიმაღლეზე იფრინოს, სადაც მათი ძალა ვერ აღწევს. ამიტომაც დაჰკარგეს მათ მიზნის სიზუსტე, ამიტომაც ჰყრიან ისინი ყუმბარებს ასე უწესრიგოდ, ჰყრიან ამაოდ, რადგან მათ ფხიზლად სდარაჯობს მოსკოვის მოსახლეობა,— დაცემისთანავე აჩანაგებენ ცეცხლგამჩენ კერებს.

საბჭოთა გამანადგურებლები ცად აიმართნენ. ფარჯიკია მიწას მოსწყდა და, მანქანა ცაში ლაღად რომ გაუშვა, თვალი მოჰკრა, როგორ ეწყვეტებოდა აქეთ-იქით, როგორ ბრუნავდა ტარაბუასავით პროჟექტორების სხივთა დარტყმისაგან თვალდაბნელებული მტრის მესერშმიდტი. განათებული ბნელეთის შვილი ბნელს ეძებდა და ვერ პოულობდა. მძლავრი შუქი კვალდაკვალ დასდევდა და გასაქანს არ აძლევდა. საბჭოთა ჭურვები მისგან ისე ახლოს სკდებოდნენ, ირგვლივ იმდენი ბრწყინვალება იფრქვეოდა, რომ გამწარებული ყუმბარმზიდი უეცარი შუბურით მოსწყდა ცისიერს და თვალისმომთხრელ სინათლის წყაროსაკენ დაეშვა რისხვით. დაეშვა, რომ ერთის დარტყმით ჩაექრო იგი, მაგრამ ამაოდ, — შუქი ისევ ისე კაშკაშებდა.

გაწბილებულმა და სირცხვილნაჭამმა კვლავ სიმაღლეს მიაშურა, ქვემეხთა ტყვიებს თავი მოხერხებულად აარიდა და ღრუბლებში მიიმალა.

— ხედავ, რა გამოცდილი არამზადაა! — გაუელვა ფარჯიკიას და მტერი ხელიდან რომ არ გასხლტომოდა, კვალდაკვალ მიჰყვა.

— არ გამასწროს! არ გამასწროს!— მხოლოდ ესღა უტრიალებდა თავში.

ღრუბლები რომ გაარღვია, ხედავს— მტერი მისგან მხარმარცხნივ აქეთ-იქით, უგზო-უკვლოდ ბორიალებს. ღრუბლის საფარიდან გასვლას ლამობდა, მაგრამ ირგვლივ სინათლის ისეთი ზღვა ლივლივებდა, რომ გამოჩენას ვერა ჰბედავდა. ფარჯიკია უცებ მობრუნდა, მაგრამ მისი მანქანა ისე სწრაფი იყო, რომ შეეშინდა, თავს არ გადაუსწროვო და ძრავს რევნარი შეუნელა.

ჭურვები უკვე აღარ სკდებოდნენ მათ ირგვლივ. მეზენიტეებს ეშინოდათ, რომ უცაბედად თავიანთივე თვითმფრინავი არ დაეზიანებინათ. სამაგიეროდ მტერს უხვად აყრიდნენ სხივებს, რომ მათ შევარდენს იგი თვალთახედვიდან არ დაჰკარგოდა. ფარჯიკიამ ყუმბარმზიდს უკანიდან მოუარა და ტყვიამფრქვევიდან გამეტებით დააყარა ტყვია. მიზანი მთლად არ გაუმართლდა, მაგრამ ერთს მაინც მიაღწია, — მოწინააღმდეგის მარჯვენა ძრავი მოქმედებიდან გამოიყვანა. მიუხედავად იმისა, რომ მტერი სიმაღლეს თანდათან კარგავდა, თავის საშველად დასავლეთს მიაშურა. ფარჯიკია მყისვე დაედევნა, მაგრამ მესერშმიდტი სიკვდილს მარჯვე ფანდებით არიდებდა თავს და თანდათან წინ მიიწევდა. ისედაც ფიცხი და ქედმაღალი კოლხიდელი ტყვიას დაუზოგავად აყრიდა გაქცეულს. აყრიდა ისე უხვად, რომ როგორ შემოელია მარაგი, არ გაუგია. ის კი, ის წყეული, ისევ წურავდა ქაჯური სვასტიკით მოხატულ ფრთებს... სხვა გზა არ იყო. გადასწყვიტა, ხრახნით ბოლო მოეგლიჯა და მით მართლა მოეღო მისთვის ბოლო. ის ათიოდ მეტრითაც არ იყო მიახლოვებული, რომ ყუმბარმზიდის კუდთან მოთავსებულმა ტყვიამფრქვევმა ცეცხლი მარჯვედ დააყარა. ერთმა ტყვიამ მარჯვენა მკლავი მსუბუქად გაკენწლა. ფარჯიკია გამწარდა. მაშინვე მოისაზრა, — ეს ლეშის სვავი ისე ნაცადი იყო, რომ მისი დამორჩილება ეგრე იოლად არ შეიძლებოდა. მიხვდა, რომ ეს გამოცდილება მას დიდიხნის ძარცვა-რბევაში უნდა ჰქონოდა მოპოვებული. ვინ იცის, რამდენი დედა გაუუბედურებია მას, რამდენი ცოლი დაუქვრივებია, რამდენი ბავშვი დაუობლებია. ვინ იცის, რამდენი უმწეო ქალ-ბალღი უჟლეტია მთიბავი ფრენით, რამდენი ოჯახი დაუწიოკებია და რამდენი ბედნიერება დაულეწნია? ვინ მოსთვლის, რამდენი ცრემლი დაღვრილა მისი მეოხებით, ახლაც იღვრება, იღვრება ისე უხვად, რომ, ალბათ, ზღვას შეადგენს. ვინ იცის, რამდენი წყევა-კრულვა შეუთვლიათ მისთვის, რამდენი ტირის მისი გადამკიდე შავი ცრემლით. და ეს გოდება ცასა სწვდება და ფარჯიკიას აქაც ესმის.

ერთბაშად თვალწინ დაუდგა ის დახოცილნი, გაიავარებულნი, რომელთაც ხელები ცად ღაღადისით აღუპყრიათ და ემუდარებიან მას, კბილთა ღრჭენით ევედრებიან, რომ მათი უმანკო სისხლი აუღებელია, რომ მათი ცრემლი შეუშრობელია, მათი რისხვა დაუოკებელია.

ეს გოდება ფარჯიკიას ესმის იქიდან, ქვემოდან, — ქვეყნიერების ყველა კუთხიდან. ბელორუსიის გადატრუსულ ქალაქებიდან, უკრაინის ბარაქიან ხოდაბუნებიდან, კასტილიის რუხ ტრამალებიდან, საბერძნეთის მთა-გორიან ორწოხებიდან, საფრანგეთის შაბიამანისფერ ვენახებიდან, ლონდონის ქუჩებიდან, ნორვეგიის შხერებიდან, ჰოლანდიის ფერმებიდან, ზღვებიდან, მდინარეებიდან, საფლავებიდან. ვინ იცის, სად არ უთესია ამ კაცთა ავთაგანს სიკვდილის თესლი... და თვითმფრინავი ერთბაშად ადგილიდან მოსწყვიტა, მოქნეულ ელვასავით გაქანდა და სიკვდილის ყუმბარმზიდს მთელი ძალღონით ზედ შეასკდა. დარტყმა ისეთი მძლავრი იყო, რომ გამანადგურებელი გადაბრუნდა და ჰაერზე ზურგით დაწვა.

ფარჯიკიამ მიწას ორიათასხუთასი მეტრის სიმაღლიდან დახედა და გაუკვირდა, — თურმე თენდებოდა.

დაყოვნების დრო აღარ იყო, — ხივრცეში გადახტა.

როცა პარაშუტი გაიშალა, ფარჯიკიამ თვალი მოჰკრა, როგორ იწვოდა ძირს დანარცხებული მესერშმიდტი. სისხლი აღებული იყო. ტანში ტკბილი ჟრუანტელით გააჟრჟოლა.

განგაში მოიხსნა.

შეუმჩნევლად ეშვებოდნენ დაბლა საჰაერო ღობურების აეროსტატები.

საზენიტო ქვემეხებმა დაბლა დაუშვეს ყილიფები.

სისხამი დილის სალუქი ჰაერი თანდათან ივლინთებოდა ნაძვნარისა და ნოყიერი მიწის სუნით. ფარჯიკიამ ფეხქვეშ ნიადაგი იგრძნო, დაეცა და მშობლიურ მიწას ხარბად ჩაეხუტა. მიწა ცაზე ტკბილი იყო.

ანტიფაშისტური სალიტერატურო სალამოები

მწერალთა შეხვედრა წითელი არმიის მეთაურებთან

24 აგვისტოს ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის არმიის საზაფხულო ბაღში მოეწყო საქართველოს მწერლების შეხვედრა თბილისის გარნიზონის მეთაურებთან, მათი ოჯახის წევრებთან და წითელარმიელებთან.

სალამოზე მოკლე შესავალი სიტყვით გამოვიდა ამხ. ბესო ჟღენტი. თავიანთი ნაწარმოებები წაიკითხეს: შალვა დადიანმა, ალიო მაშაშვილმა, ალ. აბაშელმა და ბ. სერებრიაკოვმა.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მოსკოვის ესტრადის მსახიობებმა.

ა.-კ. რკინიგზების სამმართველოს აგიტწრეებში

სამამულო ომთან დაკავშირებით, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა ამ დღეებში სამხედრო ჰოსპიტალსა და ა/კ. რკინისგზების პოლიტსამმართველოს აგიტ-წრეებში ჩაატარა რამდენიმე ანტიფაშისტური ლიტერატურული სალამო. სალამოებში მონაწილეობა მიიღეს პოეტებმა და მწერლებმა ი. გრიშაშვილმა, სიმონ ჩიქოვანმა, ალ. აბაშელმა, გ. ქუჩიშვილმა, რ. ქორქიამ, ალ. ჭეიშვილმა, ვასო გორგაძემ, სოლომონ თავაძემ, სიმონ წვერავამ, ბ. სერებრიაკოვმა და ანდრო თევზაძემ. სალამოებმა დიდი წარმატებით ჩაიარეს.

წითელი არმიის სახლში

ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის წითელი არმიის საოლქო სახლში დიდი სამამულო ომის დაწყებიდანვე სისტემატიურად იმართება პატრიოტული და ანტიფაშისტური ლიტერატურული სალამოები, რომლებშიაც მონაწილეობას იღებენ მწერლები, მეცნიერი მუშაკები და საზოგადო მოღვაწეები.

5 სექტემბერს ამ სახლში მეთაურთათვის მოეწყობა მოხსენება თემაზე „ა. მ. გორკი ფაშიზმის წინააღმდეგ"; 9 სექტემბერს — მოხსენება „ნ. ოსტროვსკის შემოქმედება", 12 სექტემბერს — პერიოდულ გამოცემათა მიმოხილვა თემაზე: „წითელი არმიის მებრძოლთა გმირობა, ვაჟკაცობა და მამაცობა", 17 სექტემბერს — ლიტერატურული სალამო თემაზე: „ვლადიმერ მაიაკოვსკი — საბჭოთა პატრიოტი".

მომქმედი არმია. მამაცი მზვერავი წითელფლოტელები.
(საკდესის ფოტო).

სიმონ ჩიქოვანი

მიშაკოვი და შალამბერიძე

ერთი ქართველი და ერთი რუსი,
ერთი მახვილი ორივემხრივ მჭრელი.
მიმწუხრი იყო თუ დილის სუსხი,
ბორცვით იბრძოდა მოძმეთა მხსნელი.

ბორცვიდან მტერი გაკაფეს მტკიცედ,
შეიძლო ორმა მტარვალთა დაშლა.
ტყვიით აღმართეს ურყევი ციხე
და მოეფარენ მოძმეთა ლაშქარს.
ბორცვზე იბრძოდა ვაჟკაცი ორი
ტყვიისმფრქვევის და მარჯვენის ძალით.
შეინარჩუნეს მაღლობი ბრძოლით
და გაუსწორეს სიკვდილსაც თვალი.
ამეტყველეს წყლისფერი ლულა,
ბევრი ფაშისტი დასცეს ტყვე-ველად.
მტერს შეეგებენ ვაჟკაცნი მტრულად,
შეუდრეკელად, შეურყეველად.
თქვენი მარჯვენის ძალა არ დაშრა,
ტყვიით გაშალეთ სული და ფრთენი,
გზა გაუკაფეთ მოძმეთა ლაშქარს
და ძმებს შესწირეთ სიცოცხლე თქვენი.

უკრაინაში ამართულ ბორცვზე,
როგორც კვარცხლბეკზე, ისე ახველით.
რამდენჯერ ბორცვი ტყვიებით მოსწვეს
და ვერ წაშალეს თქვენი სახელი!
მაღლობზე დარჩა გმირობის დაღი,
თქვენი სახელი იცოცხლებს, ძმანო!
იმ ბორცვზე მალე აღსდგება ბაღი,
ცხოვრებას თქვენსას რომ დაემგვანოს.
როს გამარჯვება გვერგება სრული,
გაიმირება ვერაგი მხეცი,
ბაღში ამოვა ორივეს გული,
დამშვენებული ბელადის ცეცხლით
ქარიც იქროლებს, თქვენივე ტოლი,
ბაღში ჩარჩება ყიჟინის ხმებიც,
რომ სთქვან: ამ გორაკს იცავდა ორი,
და აქ წვანანო, ვითარცა ხმლები.

გიორგი კაჭახიძე

ბედნიერების გადასარჩენად

ანგრევს და მოსავს დასავლეთს თალხით
მიხაკისფერი ჭირის გაჩენა.
აღსდგა ჯავშნით საბჭოთა ხალხი
ბედნიერების გადასარჩენად.
ყველა ქვეყნისთვის სიკეთის მდომი
მხნედ ეჯახება ფოლადით ფოლადს.
გადამწყვეტი და სასტიკი ომი
ჯერ არნახულად გრგვინავს და ბოლავს.
ფრონტზე ბობოქარ გმირებს ვინ დათვლის,
სამშობლოს გმირებს, გაშლილ მხრებიანს!
დიდი აზრის და დიდი სიმართლის
სხივები წყვდიადს ეჯახებიან.
მტერიც არ ცხრება, ბორგავს და ჰკივის,
კაცობრიობის სვავად ქცეული.
სამშობლოს მიწა განიცდის ტკივილს,
ვით გველის კბენას კაცის სხეული.
ინთება ბრაზით ველთა სიმწვანე,
ბრაზობენ მთებიც პირდაპირები.
შფოთავენ, გრძნობენ ომის სიმწვავეს
ცივ საფლავებში მწოლი გმირები.
გრძნობენ მტრის ურდოს, სისხლით გალეშილს,
ახელენ თვალებს ფართოდ, მრისხანედ,
ვერ ეტევიან ცივ საფლავებში
და ადრინდულად აბჯარს ისხამენ.
დევკაცურ გზნებით კვლავ ინთებიან,
ბრძოლის გარეშე არ სურთ დარჩენა
და ახალ გმირებს უერთდებიან
კაცობრიობის გადასარჩენად

ა. სიჭინავა

სამშობლოს

დღეს, როცა მტერი შენ გეჭიდება
და ველებს სისხლი რწყავს,
როს წლობით შექმნილ ავლადიდებას
ყუმბარის ცეცხლი სწვავს, —
უფრო მტკიცედ ვგრძნობ გულში შენს ტრფიალს,
მე რომ თან დამყვა ყრმას:
კაცს ხომ სიცოცხლე ქვეყნად ერთი აქვს,
შენ შემოგწირავ მას.

ყველას, ვინც დღემდე შემოგსევია,
აქ ჩასწყვეტია ხმა;
მათი განგმირვა მუდამ სჩვევია
ჩვენს მოელვარე ხმალს!
კვლავ მოვაგონებთ მტერს წინაპრების
მედგრად შემართულ მკლავს...
და მის ურდოებს მძლავრი დარტყმებით
გავანადგურებთ კვლავ!
დღეს, როცა მტერი შენ გეჭიდება
და ველებს სისხლი რწყავს,
როს წლობით შექმნილ ავლადიდებას
ყუმბარის ცეცხლი სწვავს, —
უფრო მტკიცედ ვგრძნობ გულში შენს ტრფიალს,
მე რომ თან დამყვა ყრმას:
კაცს ხომ სიცოცხლე ქვეყნად ერთი აქვს,
შენ შემოგწირავ მას.

ქორწინების ერზაცი

„ერზაც“ — ყველაზე უფრო გავრცელებული სიტყვაა ჰიტლერის გერმანიაში. ერზაცი გერმანულად ნიშნავს შემცვლელს.

ფაშისტური გერმანია სავსეა სუროგატებით. გერმანელი ამ სუროგატებს ყოველ ნაბიჯზე ხვდება. ხელოვნური ცხიმები და ხელოვნური შაქარი, სუროგატის პური და სინთეტური კარტოფილი, ტყავის, რეზინის, მატყლის შემცვლელები ბატონობენ დღეს გერმანიაში. ამბობენ, თითქოს ხელოვნური რძეც კი გამოჩენილიყოს. ფერით ეს რძე არ განსხვავდება თურმე ძროხის რძისაგან, სუნიც ბუნებრივი აქვს, მაგრამ ერთი უბედურება სჭირს — ამ რძის დალევა შეუძლებელია. ერთადერთი, რითაც შეიძლება შეიცვალოს ერზაცი-რძე, არის სასაქმებელი ზეთი...

ერზაცები მარტო ლაბორატორიებში როდი კეთდება. ძროხის ხორცს გერმანიაში სცვლიან ჩვეულებრივი ძაღლებით და კატებით.

მთელს მსოფლიოში ძალიან გაბედულად ვარაუდობდნენ იმის შესახებ, თუ რა ერზაცს მიართმევდნენ კიდევ გერმანელ ხალხს ფაშისტი მმართველები, მაგრამ არავის აზრად არ მოსვლია და არც არავინ ელოდა, თუ ფაშისტები გამოიგონებდნენ ქორწინების შემცვლელსაც. მაგრამ ქორწინების შემცვლელი უკვე სავსებით რეალური ფაქტია, სავსებით ახალი სუროგატია. ოფიციალურად ფაშისტები ამ ახალ ერზაცს უწოდებენ „დაუსწრებელ ქორწინებას რადიოთი“.

უამრავი ახალგაზრდა გერმანელი ჯარისკაცი მოაშორეს თავიანთ საცოლეებს და ფრონტზე გადაისროლეს. და იმისათვის, რომ მათ შვებულება არ მისცენ, სწორედ ეს ერზაც-ქორწინება გამოიგონეს. რამდენიმე დაქორწინება რადიოთი უკვე მოხდა. გერმანული ფაშისტური გაზეთი „რეიხსკრიგერცეიტუნგი“ ცამეტი ივლისის ნომერში იუწყება: „პირველ ივლისს, დილით ადრე, ხუთასჯერ მოისმა ხმა ზურგიდან. ამ საზეიმო გადაცემის ფარგლებში მოხდა თორმეტი ქალიშვილის რადიოდაქორწინება სამხედრო პირებზე“... ამას მოსდევს თვით ქორწინების აღწერა: „საზეიმოდ მორთული დარბაზი. მიკროფონის წინ სდგას გასათხოვარი ქალიშვილი საქორწინო ტანსაცმელში, მის გვერდით მაგიდაზე დევს ჯარისკაცის ფოლადის ჩაჩქანი, როგორც ფრონტზე მყოფი საქმროს სიმბოლიური განსახიერება“.

აი დამთავრდა ეთერული ანუ, უფრო სწორად, ეფემერული ქორწინება. ახლად დაქორწინებული ქალი ეუბნება დიქტორს „დანკე“ (გმადლობთ), იღებს ხელში ფოლადის ჩაჩქანს, რომელიც ახლა უკვე სიმბოლოა არა მისი საქმროსი, არამედ მეუღლისა, და მიეშურება შინ, სუროგატებისაგან დამზადებულ საქორწინო ვახშამზე, რომელსაც ამშვენებს რკოსგან გაკეთებული პაშტეტი, მოხრაკული კერძი დაზბერილი თათაბოსაგან, კომპოტი ბლისა და მსხლის ხის კანისაგან და სხვა.

არ ვიცით, თუ როგორია გერმანელი ქალიშვილების დამოკიდებულება ამ დაუსწრებელი ქორწინებისადმი, მაგრამ საცოლე ახალგაზრდების აზრი ამ ახალ ერზაცზე ცნობილია. აი რას სწერს თავის საცოლეს როზ-მარის გერმანელი ეფრეიტორი ფრიდს შოპენშტედტი:

„ზურგში ქორწინების სარეგისტრაციო ბიუროში ჯარისკაცს სცვლიან ფოლადის ჩაჩქანით, რომელსაც მაგიდაზე სდებენ. შეიძლება ეს ლამაზი იყოს, მაგრამ მე ვისურვებდი თავათ დავსწრებოდე ჩემს საკუთარ ქორწინებას.. მე აქ მეორე ოცეულში ვიმყოფები და, უნდა წარმოიდგინო, რომ როცა ღამით დაუსწრებელი ქორწინების შემდეგ საწოლზე მიწვები, ცხადია, ამხანაგები მეტყვიან: ეს რა ქორწინების ღამეა? შენ ხომ მარტო ერთი ხარო. იქნება შენმა საცოლემ კიდეც მიგატოვა? იცი, როზ-მარი, მე თავათ წინააღმდეგი არ ვარ ამ დაუსწრებელი ქორწინებისა, მაგრამ ჩემი ამხანაგი ჯარისკაცები დამცინებენ და მოსვენებას არ მომცემენ. ასე რომ ეს საქმე არ გამოვა. ჩემი ამხანაგები იმასაც კი იზამენ, რომ ღამით საწოლში დასველებულ ცოცხს მომიდებენ და მეტყვიან: „ეს როზ-მარის შემცვლელიაო“! განა ასეთი უნდა იყოს ჩვენი ქორწინების ღამე?“

როცა ფრიც შოპენშტედტი ამ ბარათს სწერდა, მან ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ გერმანიაში შემოღებულია არა მარტო ერზაც-ქორწინება, არამედ ერზაც-ქმრობაც. ჰიტლერის ბრძანებით, მთელს გერმანიაში ეწყობა „საქორწინო პუნქტები“, რომლებსაც მომსახურებას გაუწევენ „წმინდა არიული სისხლის“ გამანაყოფიერებელი ულაყები მოიერიშე და დამცველი რაზმებიდან. ამ დამაგრილებელ, უკაცრავად, საქორწინო პუნქტებზე გამოცხადება სავალდებულოა ყველა ქალისათვის, რომელსაც ქმარი ფრონტზე ჰყავს.

რას იტყვიან ამ ფაშისტურ პირუტყვობაზე ფრიც შოპენშტედტი და ფრონტზე მყოფი მრავალი ათასი გერმანელი ჯარისკაცი?

ე. ს. შატროვი.

„კომ. პრავდა“.

მეკავშირე წითელარმიელები ფრონტზე. ფოტო.

ხელოვნება ფაშიზმის მუხრუჭებში

მუსიკა შავხალათიანთა იტალიაში

იტალიაში ისევე, როგორც ფაშისტურ გერმანიაში მწერლობა, ხელოვნება და მეცნიერება უდიდეს კრიზისს განიცდის, თუ რა მდგომარეობამდე მიიყვანა ფაშიზმმა იტალიური კულტურა, ამის შესახებ სწერს ცნობილი იტალიელი ანტიფაშისტი მწერალი ჯ. ჯერმანეტო:

„დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მუსოლინს ჰიტლერის მისალმებაზე „ავე იმპერატორ“ (გაუმარჯოს იმპერატორს) შეეძლო ეპასუხა—„ავე იმიტატორ“ (გაუმარჯოს იმიტატორს), ახლა ტურა მუსოლინი თავათ მიჩანჩალებს კუდში თავის შეგირდს, რომელმაც სისხლით მორწყო დამარცხებული, მაგრამ დაუმორჩილებელი ხალხების მიწა-წყალი, ჰიტლერის მთვრალი ურდოები დათარეშობენ დღეს იტალიაში.

ბრწყინვალე ფურცლები ჩასწერა იტალიამ ევროპის ხელოვნების ისტორიაში. მთელი მსოფლიო იცნობს იტალიის დიდ კომპოზიტორებს და მომღერლებს, მთელს ქვეყანას უყვარს ისინი. განა შესაძლებელია წარმოვიდგინოთ იტალიელი ხალხი უმუსიკოდ? და აი ამ ხალხმა, როსინის, ბელინის და ვერდის წარმომშობმა ხალხმა შესწყვიტა მღერა. დიდი იტალიელი არტისტები დღეს უცხო ქვეყნებში დახეტიალობენ, ისინი თავიანთი ქვეყნიდან გააძევა ფაშისტურმა რეაქციამ. გენიალურ იტალიელ დირიჟორს ტოსკანინის იმისთვის, რომ მან ვაჟკაცურად უარი სთქვა შეესრულებია ფაშისტური ჰიმნი, შავხალათიანმა გარეწრებმა სცემეს. მან დასტოვა თავისი სამშობლო და ეხლა ამერიკაში სცხოვრობს. იტალიიდან განდევნილია სახელგანთქმული ტენორი სკიპა და იტალიური ხელოვნების სხვა ბევრი ცნობილი მოღვაწე. ყოველ საღამოს ცარიელია ისეთი სახელგანთქმული საოპერო თეატრები, როგორიც არის მილანის „ლა სკალა“, ნეაპოლიტანის თეატრი, კონსტანციის რომის თეატრი, ვენეციის „ლა ფინიჩა“ და სხვ. სიტყვა „კრიზისი“ ვერ გამოხატავს მუსიკისა და თეატრის მდგომარეობას ფაშისტურ იტალიაში, ისინი კრიზისს კი არა, აგონიას განიცდიან“.

პოლონელი მწერლების ბრძოლა ჰიტლერიზმის წინააღმდეგ

ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ჰიტლერი პოლონეთს დაიპყრობდა, პოლონეთის პროგრესიულმა მწერლებმა, ხელოვნების მუშაკებმა და მეცნიერებმა გააჩაღეს ბრძოლა ფაშისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ. იმ თავითვე ამ ბრძოლას მეთაურობდა პუშკინის ცნობილი მთარგმნელი, სახელგანთქმული პოლონელი პოეტი იულიან ტუვიმი, მის კალამს ეკუთვნის ფაშიზმის წინააღმდეგ მიმართული სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოები. ფაშიზმის ველურობის დაუნდობელ მხილებას შეიცავენ საუკეთესო პოლონელი მწერალი ქალის მარია დომბროვსკაიას, თვალსაჩინო პოლონელი პროზაიკოსების ბოგუშევსკის და კორნაცკის უკანასკნელი დროის ნაწარმოებნი. მგზნებარე ლიტერატურულ ბრძოლას ფაშისტური საფრთხის წინააღმდეგ წარმოადგენდა ვანდა ვასილევსკაიას და მისი ახლო თანამოკალმეების ლიტერატურული მოღვაწეობა ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ფაშისტური ურჩხული პოლონეთს ყელში სწვდებოდა. გერმანიის მიერ პოლონეთის დაპყრობამ შესცვალა ბრძოლის ფორმები. ჰიტლერის ბანდიტებმა მიზნად დაისახეს პოლონეთის კულტურის მოსპობა. ამ ორი წლის განმავლობაში პოლონეთში არც ერთი პოლონური ლიტერატურული ნაწარმოები არ გამოსულა. უამრავი პოლონური წიგნი დასწვეს, ბიბლიოთეკების უმრავლესობა გაძარცვეს და დახურეს. არც ერთი პოლონური გაზეთი, არც ერთი პოლონური ჟურნალი დღეს პოლონეთში არ გამოდის. არ მოქმედობს არც ერთი პოლონური თეატრი, გარდა უბადრუკი კაფე-შანტანებისა, რომლებსაც ნახევრად პორნოგრაფიული რეპერტუარი აქვთ. ასეთ მდგომარეობაში პოლონური კულტურის ჩაყენებამ გააძლიერა პოლონური მოღვაწეების შეურიგებელი სიძულვილი დამპყრობელებისადმი. ნაწილი მწერლებისა უცხოეთში გაიხიზნა და იქიდან აწარმოებს ბრძოლას ჰიტლერისა და მისი დამქაშების წინააღმდეგ. პოლონეთში დარჩენილი მწერლები განაგრძობენ იატაკქვეშ მუშაობას, ისინი თანამშრომლობენ და აქტიურად მონაწილეობენ იმ არალეგალურ გამოცემებში, რომლებიც პოლონელ ხალხს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მოუწოდებენ და რაზმავენ.

31 აგვისტოს იხსნება რუსთაველის სახელობის თეატრის ახალი სეზონი

31 სექტემბერს ხსნის თავის სეზონს დარასელის პიესით „კიკვიძით“ ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი.

პიესას სდგამს აკაკი ვასაძე, რეჟისორი—დ. ალექსიძე, მხატვრები—ი. გამრეკელი და დ. თავაძე, მუსიკა—ი. ტუსკიასი. მთავარი როლები ასეა განაწილებული: კიკვიძე — ა. ვასაძე და ს. ჯაფარიძე, მედვედოვსკი — გ. დავითაშვილი, მართა — ლაფაჩი, ტიტიკო — დ. საღარაძე და დოლიძე.

მიმდინარე სეზონში აღდგენილი იქნება ლავრენიევის პიესა „რღვევა“, დამდგმელი ა. ვასაძე, გამფორმებელი — ი. გამრეკელი. მთავარ როლებს შეასრულებენ ა. ხორავა და ა. ვასაძე, ბაქრაძე, ჭანტურია და სხვები.

ამჟამად თეატრი მუშაობს ვოლფის პიესა „მამლოკზე“. პიესას სდგამს რეჟისორი დ. ალექსიძე, მხატვარი — დ. თავაძე, მუსიკა ი. ტუსკიასი. მთავარ როლებს შეასრულებენ გ. დავითაშვილი, თ. ბაქრაძე და ე. აფხაიძე.

პარალელურად სწარმოებს მუშაობა სარდუს ცნობილი პიესის „ფლანდრიის“ დადგმაზე. ამ პიესის დადგმა მინდობილი აქვს შ. აღსაბაძეს. მხატვარი — ი. გამრეკელი, მუსიკა— ი. ტუსკიასი.

შარშანდელი დადგმებიდან აღდგენილი იქნება: ა. სუმბათაშვილის „ღალატი“, შექსპირის „ოტელო“, ს. შანშიაშვილის „გიორგი სააკაძე“ და ძ. კლდიაშვილის „უკანასკნელი რაინდები“.

დიდ სამამულო ომთან დაკავშირებით, თეატრი სპეციალურ წარმოდგენებს გამართავს წითელი არმიის მებრძოლთათვის და მსახიობთა ბრიგადების საშუალებით მომსახურებას გაუწევს წითელი არმიის ნაწილებს.

მთელი სეზონის განმავლობაში ყოველ თვეში ორშაბათობით ორი წარმოდგენა გაიმართება თავდაცვის სახალხო ფონდის სასარგებლოდ.

ლევან მეტრეველი

(1887—1941)

27 აგვისტოს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მწერალი ლევან მეტრეველი. მისი დაკარგვა გულწრფელ მწუხარებას გამოიწვევს ჩვენს მწერალთა და მკითხველთა საზოგადოებაში. განსვენებულმა მოქალაქის და მწერლის მეტად საინტერესო გზა განვლო. ვიდრე სამწერლო ასპარეზზე გამოვიდოდა, მან ბევრი რამ ნახა და განიცადა: იყო მწყემსად სოფელში, იყო მუშად როტშილდის ქარხანაში, თბილისის მექანიკურ სახელოსნოში, ბაქოს ელექტრო-სადგურზე და ოდესის ნავთსადგურში. მუშაობდა დურგლად, მებაღედ, შოფერად პარიზსა და საფრანგეთის სხვა ქალაქებში, ამასთან აქტიურ მონაწილეობას იღებდა 1905 წლის რევოლუციურ მოძრაობაში.

ამ წელს იგი იყო ერთერთ რაზმში, რომელიც ოდესაში ებრძოდა ებრაელთა დარბევის მონაწილეებს. მანვე მონაწილეობა მიიღო კრეისერ „ოჩაკოვის“ აჯანყებაში, რომელსაც ლეიტენანტი პ. შმიდტი მეთაურობდა. იყო დაპატიმრებული რამდენჯერმე რევოლუციური მუშაობისათვის.

უცხოეთში ემიგრანტობის დროს მან შემოიარა თითქმის მთელი ევროპა.

ლ. მეტრეველის ამ მრავალმხრივმა და მრავალფეროვანმა ცხოვრებამ გამოხატულება ჰპოვა მის შემოქმედებაში. მის კალამს ეკუთვნის ჩვენს პერიოდულ გამოცემებში გაბნეული მრავალი ფელეტონი, მხატვრული ნარკვევი, მოთხრობა, კრიტიკული წერილი, რომელთაგან აღსანიშნავია „წითელი დროშა შავი ზღვის ესკადრაზე“, „ცივი ფიქრები ცივ ღამეში“, „25 თებერვლის განთიადი საქართველოში“. ცალკე წიგნებადაა გამოსული მისი მოთხრობების ორი კრებული — „ჯაგანი“ და „ცხრათვალა მზე“.

განსვენებული იყო ქართული ხალხური სიტყვიერების ჩინებული მცოდნე. შეკრებილი და გამოცემული აქვს ქართული ანდაზები, „ფედერაციას“ დასაბეჭდად გადაცემული აქვს მის მიერ

დამუშავებული „ქართულ თავანკარ სიტყვათა ლექსიკონი“.

სიკვდილამდე ორი თვის წინათ განსვენებული თავის ავტობიოგრაფიაში სწერდა: „მე უკვე განვლიე ჩემი ჯანი, ჩემი პირადი კეთილდღეობა, მაგრამ მაინც ვინატრებდი ჩემს დღეთა გაგრძელებას, რომ შევსწრებოდე ევროპის განთავისუფლებას ფაშისტ ჯალათებისაგან“.

ლევან მეტრეველი ერთი იმ საბჭოთა მწერალთაგანი იყო, რომელიც სიკვდილის დღემდე ერთგულად ემსახურებოდა ქართული საბჭოთა ლიტერატურის აყვავების საქმეს.

საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმი.

* * *

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა გამოჰყო ლევან მეტრეველის ნეშტის დამკრძალავი კომისია შემდეგი მწერლების შემადგენლობით: დ. სულიაშვილი, ლეო ქიაჩელი, ი. ლისაშვილი, დ. შენგელაია და ს. თავაძე.

* * *

ლ. მეტრეველის ნეშტის გამოსვენება დანიშნულია ქალაქის მე-2 საავადმყოფოდან 31 აგვისტოს, ნაშუადღევის 3 საათზე, დაკრძალვა—ვაკეზე, მწერალთა პანთეონში.

„გელით გამარჯვებულთ“

ფაშისტურ ბანდებზე გამარჯვების მტკიცე რწმენით მიაცილებს სამამულო ომის ფრონტზე მიმავალ თავის საუკეთესო ერთგულ შვილებს მთელი საბჭოთა ხალხი. ჩვენი ჯარის ეს საყოველთაო სახალხო გაცილება წარმოადგენს ახალი სამხედრო ფილმ-კონცერტის სიუჟეტურ ჩარჩოს. ფილმის გადაღება, რომელიც სწარმოებდა მოსფილმის სტუდიაში რეჟისორების ა. მედვედკინისა და ი. ტრაუბერგის ხელმძღვანელობით, უკვე დამთავრებულია და ამ დღეებში ეკრანზე იქნება გაშვებული. ფილმის მუსიკალურ-ვოკალურ ნაწილს საფუძვლად დაედვა რუსული სახალხო სამხედრო სიმღერები სიმღერისა და ცეკვის წითელარმიული ანსამბლის მიერ შესრულებული. გარდა ამისა, ამ ფილმ-კონცერტის პროგრამაში შეტანილია ვ. ზახაროვის კომკავშირული სიმღერა: „მშვიდობით, ჩემო სახლო, ქალაქო“ და კომპოზიტორ ხრენიკოვის მიერ სპეციალურად ამ ფილმ-კონცერტისთვის დაწერილი სიმღერა „გასაცილებელი“.

ბავშვები

ვანდა ვასილევსკაია

ვისზე ვწეროთ? ყოველ დღეს გმირობის ახალ-ახალი ფურცლები შეაქვს ისტორიაში. ჩვეულებრივ ადამიანებს გრიგალისა და ალის ფრთები ებმებათ მხრებზე. იმ სახის ნაკვთებში, რომელსაც ჩვენ კარგად ვიცნობდით, რომლის წინაც ჩვენ გულგრილად ჩაგვივლია, უეცრად იხატება გმირის წარმტაცი, მკაცრი იერი. ჭაბუკი გოლიათად იქცევა, მოხუცი გლეხი დედაკაცი რაინდულ ჩვენებად გვევლინება. არ არის ამჟამად ადგილი ჩვენს მიწა-წყალზე, სადაც თავს არ იჩენდეს წარმტაცი ადამიანობა, სულის უდიდესი სილამაზე, აუწერელი სიმამაცით გაბრწყინებული, რაზედაც გვაუწყებენ საგაზეთო ცნობები და რადიოგადაცემები, სადაც თავს არ იჩენდეს გმირობა, რომელიც არ იწვის ცეცხლად და სისხლად, არ აფეთქდება ცად ავარდნილი ფერადი მაშხალასავით, მაგრამ რომელშიაც იმდენი ვაჟკაცობა და თავგანწირვაა, იმდენი ღრმა სიყვარული, რომ მის წინაშე საკუთარი სიცოცხლეც კი ბევრად უფრო პატარად მოსჩანს, ვიდრე უცაბედად გადაბერტყილი მტვრის პაწაწა ნამცეცი.

განსაკუთრებულ ფურცელს გმირობის ისტორიაში სწერენ ბავშვები.

მნიშვნელობა არა აქვს, რა გვარს ატარებდა ეს თორმეტი წლის ბიჭუნა, რა ერქვა სახელად ისეთები, როგორც ის იყო, მრავლად ჩნდებიან ახლა. მე იმიტომ ვწერ ამჟამად იმაზე, რომ სწორედ მისი ისტორია, უბრალო და თავზარდამცემი ისტორია, მიამბო მნახველმა.

უკვე გუგუნებენ გზაზე გერმანელთა ტანკები. აი სადაცაა გამოჩნდებიან ფოლადის ზუჩები. ეს ამბავი ხდება ძველ უკრაინულ სოფელში, რომელსაც კარგად ახსოვს გერმანელებთან ბრძოლა ოცი წლის წინად. მახლობლად ტყეა, შეიძლება გაჭირვებისას თავი შეაფარო, მიიმალო, მოულოდნელად თავს დაესხა იქიდან მტრის ნაწილებს.

მამაკაცები, ყველანი, ტყეში მიდიან. შეახტებიან ცხენს და გასწევენ. გზაზე მტვრის სვეტებია. მტვრის ბუღში ცხენოსნებს უკან მისდევს თორმეტი წლის ბიჭი. პარტიზანები მიდიან, მას-კი სოფელში სტოვებენ.

მაგრამ ბავშვი არ ეშვებათ, უზანგს ეტანება, ცხენის ფაფარს ეჭიდება — მეც წამიყვანეთო. მაგრამ როგორ უნდა წაიყვანონ ბავშვი ტყეში თავის განსაწირავად, საბრძოლველად, რისთვისაც საჭიროა მამაკაცის ძალ-ღონე, მისი ვაჟკაცობა?..

მაინც ებრალებათ ბიჭუნა, რომელიც თვალებზე ცრემლმომდგარი მისჩანჩალებს ცხენებს უკან და სასოწარკვეთილი ებღაუჭება ცხენოსანთა უზანგებს. ბავშვის გული ღრმად არის დაკოდილი: არა სცნეს იგი პარტიზანთა რიგებში ჩარიცხვის ღირსად, არა სცნეს იარაღის ტარების ღირსად. ის კი გრძნობს, გულით გრძნობს, რომ დიდებს არ ჩამოუვარდება, რომ სხვებსავით მასაც შეუძლიან იარაღის მოხმარება. ცხენებმა უფრო და უფრო აუჩქარეს ნაბიჯს. ფეხშიშველი ბავშვი ველარ ეწევა ცხენებს. მის ხმაში სასოწარკვეთილება მოისმის.

და აი ვიღამაც შეიბრალა ბიჭუნა და ცხენიდან გადახრილმა რაღაც პატარა ნივთი მისცა.

— ჰა, აიღე ხელყუმბარა. წადი სოფელში და იქ დაიცადე. თუ რამეს შეიტყობ და დაინახავ, გვაცნობე. თვალყური ადევნე — რა მოხდება. თუ საჭირო იქნება, დაახალე ეგ ხელყუმბარა.

ცრემლი მყისვე შეაშრა სახეზე. პატარა ხელი მაგრა ჩასჭიდა ყუმბარის ცივ ლითონს. დიახ, ახლა ყველაფერი რიგზეა. ხელყუმბარა დიდივით ხელში უჭირავს, დავალებაც ისეთი აქვს, როგორც დიდს.

ხელყუმბარა უბეშია დამალული. თორმეტი წლის ბიჭუნა ბრუნდება უკან, სოფელში. დავალებისამებრ ყველაფერს თვალყურს ადევნებს. არავინ ყურადღებას არ აქცევს ბავშვს. გერმანელებს ხეირიანად ჯერ კიდევ არ მიუხედ-მოუხედნიათ სოფელში, ჯერ კიდევ მთელი სოფელი არ დაუჭერიათ, ფრთხილად იქცევიან.

ბიჭუნა გაფაციცებით ადევნებს ყველაფერს თვალ-ყურს. სოფლის შესავალთან ქოხში გზაზე შტაბია. დაფუსფუსებენ გერმანელი ოფიცრები. კარებთან გუშაგები დგანან. პატარა ხელი ფრთხილად შეიყო უბეში — იქ არის ყუმბარა, ქოხში-კი, სოფლის განაპირას, გერმანული შტაბია, გერმანელი ოფიცრები არიან.

ვიდრე ძარცვა-გლეჯას შეუდგებიან, ვიდრე შეუდგებიან ქოხების წვას, ბავშვებისა და ქალების ხოცვას, ვიდრე გაიჩენენ ჯოჯოხეთს, რაზედაც ბავშვს ბევრი რამ გაუგონია, ვიდრე მოხდებოდეს ყოველივე ეს, — აი, პირდაპირ იმ ქოხს უნდა მიაშუროს. ხმა არ აუკანკალდება, თვალთ არ დაუბნელდება, როცა გუშაგი მკაცრი ხმით შესძახებს.

მართლაც, მან ხელით ანიშნა გუშაგს—რაღაც უნდა ვაცნობოო შტაბს, უნდა უეჭველად შევიდეო შიგ. კარებში ოფიცერმა გამოიხედა. მან დამტვრეულ უკრაინულ ენაზე ჰკითხა [illegible] არ აუკანკალდა, მან პირდაპირ თვალებში შეხედა ოფიცერს. ასე და ასეო. უნდა გაცნობოთ, სად იმალებიან პარტიზანებიო.

ქოხში შეიყვანეს. მაგიდას ექვსი კაცი უზის. რუკისკენ თავდახრილნი რაღაცას ლაპარაკობენ თავიანთებურად. თავები ასწიეს და ახლად შესულს შეხედეს.

ექვსნი არიან ეპოლეტებიანნი. ეჭვი არ არის, დიდი კაცები უნდა იყვნენ.

ცხადად გრძნობს უბეში ცივი ლითონის ტანზე შეხებას. ცივად გამოიყურებიან ბავშვური თვალები. ფიქრობს, ანგარიშობს, დინჯად აძლევს პასუხებს. პარტიზანები სოფლიდან წავიდნენ, ყველანი, გამოუკლებლად ყველანი.

მკაცრი ხმები მოუთმენლად აყრიან კითხვებს. ბიჭუნა დინჯად აძლევს პასუხს. მთელ ისტორიას უყვება, გლეხურად, აუჩქარებლად, რომ დრო მოიგოს შემდგომი მოქმედებისათვის, რომ არაფერი ეჭვი არ შეეპაროთ მაგიდასთან მჯდომთ.

უფროსი შუაში ზის და ხელს იქნევს. მან უკვე იცის, რომ სოფლიდან წავიდნენ ,იცის ისიც, როგორ წავიდნენ. კმარა! ახლა ერთი რამ არის მხოლოდ გასაგები: სად არიან ამჟამად?

თარჯიმანი უთარგმნის ბიჭუნას კითხვას:

— სად არიან პარტიზანები?

ბიჭმა სწრაფად გადადგა ერთი ნაბიჯი წინ. აი უკვე მაგიდასთან დგას, მათ პირისპირ. წყნარი, არა ბავშვური ხმით ეუბნება პირში ოფიცრებს:

— პარტიზანები ყველგან არიან!

და თვალის დახამხამებაზე გამოიძრო უბიდან ხელყუმბარა. თვალის დახამხამებაზევე სტყორცნა იგი მაგიდასთან მჯდომთ და ვიდრე ისინი წამოხტებოდნენ, ვიდრე შეჰყვირებდნენ და გაიგებდნენ, თუ რა დაატყდათ თავს, სიკვდილი უკვე დაფარფატებდა ოთახში.

მათთან ერთად დაიღუპა თორმეტი წლის ბავშვიც. ერთმა იძია ექვსი კაცის შური. მის გაშეშებულ ბავშვურ სახეზე აღბეჭდილი იყო დიდი ადამიანის ფიქრი და ზრუნვა, ხოლო მკვდარ შუბლზე — გმირის სიდიადე.

მას არავითარ საფლავში არ ჩაასვენებენ ,მას მშობლიურ მიწას არ მიაყრიან. ბავშვის სხეული ოქროს ალად [illegible] სოფლის თავზე ბავშვის ალგზნებული გული.

ამიტომ მნიშვნელობა არა აქვს ვიცოდეთ, რა გვარი ჰქონდა ბავშვს, რა სახელს ატარებდა იგი, რა ერქვა მის დედას, როდის დარბოდა იგი მინდორველზე. იგი ერთი ასთაგანია—ეს ბავშვური გულისაღტყინება, ეს ვაჟკაცობა ბავშვისა, რომელმაც ისევე მხურვალედ იცის სიყვარული, როგორც დიდმა ადამიანმა და ისევე ლამაზად იცის სიკვდილი, როგორც ვაჟკაცმა.

* * *

მთვარიან ღამეში, ბრწყინვალებით და ჩრდილებით სავსე, სურნელოვან, საამო უკრაინულ ღამეში, გზაზე მანქანა მიჰქრის. შორს, ტყის გადაღმა, წითლად ლაპლაპებს ხანძარი, სისხლის ფრად ღებავს იგი შორეულ ღრუბლებს ცაზე. დამტვრეული საბარგო მანქანა თხრილში, ეს წითელი დაფიონი ცაზე, შორეული გრუხუნი იძულებულს გხდის გაიხსენო, რომ სურნელოვანი საამო საღამო არ არის ჩვეულებრივი საღამო. რომ მიუხედავად მთვარისა, მიუხედავად ყვავილების სურნელებისა, მიუხედავად ბუნების სიმშვიდისა, ეს საღამო ძრწოლისა და სიკვდილის საღამოა.

გზაზე მიჰქრის დიდი შავი მანქანა. მინდვრები ნამისაგან ვერცხლისფრად ლივლივებენ. მალე გზის ვერცხლის ბრწყინვალება ტყის შავი ჩარჩოთი იმოსება.

და აქ, ტყის პირად, უცბად გაისმის შეძახილი — „შეჩერდი!“ და თხრილიდან ორნი გამორბიან. თხუთმეტ-თხუთმეტი წლისანი იქნებიან ეს სოფლელი ბიჭები, ხელში იარაღი უჭირავთ — ძველი ბერდანის თოფები.

მანქანა შეჩერდა. ფრთხილად, ლულებ-გაშვერილნი უახლოვდებიან ავტომობილს. მთვარის შუქზე აშკარად მოსჩანს, როგორ კანკალებს მათ ხელში თოფები. მანქანასთან ჩერდებიან.

დაუკვირდით — ყრუ ღამე, ცის კიდურზე ხანძრები, შორს მონოტონური განუწყვეტელი გრუხუნი. შავი ტყე, უკაცური გზა და ამ გზაზე დიდი შავი მანქანა, არა სჩანს, ვინა ზის შიგ. იქნებ იქ ათი თავით-ფეხამდე შეიარაღებული კაცია, იქნებ აქვთ იქ ტყვიამფრქვევები და კიდევ ვინ იცის რა? შეიძლება ესენი დივერსანტები არიან, ჯაშუშები, გერმანელი ოფიცრები?

და აი ამ მანქანას აჩერებს ტყიდან გამოვარდნილი ორი ყმაწვილი. არც ერთის ასაკი თხუთმეტ წელს არ აღემატება.

— შეჩერდი!

ვაჩერებთ მანქანას. საჩქაროდ ვაღებთ კარებს. სწრაფად ვმალავთ ამოღებულ რევოლვერებს.

— საშვები!

მკაცრი ბავშვური ხმა. რა თქმა უნდა, ვუჩვენებთ საშვებებს. მთვარის შუქზე ყმაწვილი გულმოდგინედ, წარბებ-შეჭმუხვნილი კითხულობს საშვებს. მერე გვიბრუნებს. ახლა ისინი უკვე დამშვიდებულნი გველაპარაკებიან. ხელები აღარ უკანკალებთ. დარაჯობენ, დიაღ, დარაჯობენ. იქვე მახლობლად, ტყის მეორე მხარეს, მათი სოფელია. ისინი გზას დარაჯობენ. იქნებ რა მოხდეს?

ჩვენ კვლავ ვსხდებით მანქანაში. უკან ვიტოვებთ დარაჯებს, თხუთმეტ-თხუთმეტი წლის ყმაწვილებს, რომელნიც ბერდანის თოფებით ხელში დარაჯობენ გზას თავიანთ სოფელთან; უკან ვიტოვებთ ორ ყმაწვილს, რომელნიც თხრილიდან ამოხტებიან და წინ გადაეღობებიან ყველას, ვინც კი ამ გზაზე გაივლის; ორ ყმაწვილს, რომელნიც ამ შემზარავ მთვარიან ღამეში, ხეების ჩურჩულით და კვნესით სავსე ღამეში, შეჰყურებენ დაფიონს ცაზე, ყურს უგდებენ შორეულ გრუხუნს და კისრულობენ პასუხისმგებლობას გზის ამ ნაჭრის უშიშროებისათვის. ნერვები უკიდურესობამდე დაჭიმული აქვთ, ნებისყოფა უაღრესად დაძაბული. ადვილად შეიძლება გმირი იყო, როცა არ გესმის, რა არის შიში. მაგრამ ამ ორმა ყმაწვილმა გმირულად დასძლია ჩვეულებრივი, ბავშვური შიში, შიში ღამის წინაშე, ომის წინაშე, უცნობი ვითარების წინაშე.

ორი თხუთმეტ-თხუთმეტი წლის ყმაწვილი! მერე რამდენნი არიან ასეთები, რომელნიც დარაჯობდნენ გუშინ და დარაჯობენ დღეს ტყეებს, გზებს, სოფლებს? რამდენი არიან ისეთები, რომელთაც შესცვალეს ფრონტზე წასული მამაკაცები და რომელთაც [illegible] „მშვიდობით!“ [illegible] ვინ ჩამოსთვლის ამათ სახელებს, ვინ ჩაიწერს იმ სოფლებსა და დაბებს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ და სადაც ისინი არასოდეს აღარ მიაღწევენ დიდი ადამიანების ასაკს?

მათი სახელი ლეგიონია. ჩვენი ბავშვები გმირი ბავშვები არიან, საუცხოო საბჭოთა ბავშვები, რომელნიც მომწიფებული ადამიანის ვაჟკაცობით და მომწიფებული ადამიანის გონებით იბრძვიან დღეს სამშობლოსათვის — ბავშვები, რომელთა სისხლშიც ანთია სიყვარული თავისუფლებისადმი, რომელთათვისაც სიტყვა სამშობლო არის არა მკვდარი სიტყვა, არამედ თვით ცხოვრება, გულისცემა, აღგზნებული მოწოდება, უღრმესი სიყვარული.

მათი ბრძოლა ჩვენი სიმართლის ყველაზე უფრო დამარწმუნებელი დოკუმენტაციაა. მათი ბრძოლა ყველაზე უფრო საზარელი ბრალდებაა, რომელსაც ჩვენი დროის მოვლენების შესწავლის შედეგად ისტორია ოდესმე წაუყენებს ბილწსა და ვერაგ მტერს.

საკუთარი სისხლით იხდიან ჩვენი ბავშვები თავიანთ მოვალეობას სამშობლოს წინაშე, რომელმაც მისცა მათ მზიური, ბედნიერი ბავშვობა. საკუთარ სისხლს ღვრიან ისინი იმ სასწორის ჯამზე, რომელსაც ვაჟკაცობა, სიყვარული და ჭეშმარიტება ჩვენსკენ გადმოხრის.

სარედაქციო კოლეგია:
ი. აბაშიძე, შ დადიანი, ს. ეული, გ. ლეონიძე, გ. ნატროშვილი,
შ. რადიანი, ვ. წულუკიძე.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სახახლე) ტელეფონი 3—47—10.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 35541